საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2355

2016 წლის 11 ნოემბერი

ქ. თბილისი

შპს „ლუგელასთვის“ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და 27^2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წიაღის მოპოვებისა და წყლის მილსადენის მშენებლობის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის ჩხოროწყუს სატყეო უბნის თაიას სატყეოს კვარტ. №99-ის ლიტერ №8-ში 495 კვ.მ მიწის ფართობით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №46.15.34.002) სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების ჭრის უფლების გარეშე) ვადა შპს „ლუგელას“ (ს/ნ: 442730038) განესაზღვროს 2032 წლის 12 აპრილამდე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**